ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

გოჩა სვანიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - კ. უ.

წარმომადგენელები – ნ. კ., პ. გ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.10.14

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №079/14

საჩივარი შემოტანილია – ადვოკატ ზ. ბ.-ის მიმართ, სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ბ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 22 ოქტომბერს კ. უ.-მ საჩივრით მომართა ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ზ. ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ზ. ბ. იცავდა მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის, ყოფილი მეუღლის, ე. კ.-ის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა კ. უ.-ის სარჩელი, ყოფილი მეუღლის, მოპასუხე ე. კ.-ის მიმართ და კ. უ.-ს

მიეკუთვნა გურიაში მდებარე უძრავი ქონების ½ ნაწილი. იმ მიზნით, რომ სასამართლოს მიერ მიკუთვნებულ უძრავ ქონებაზე არ დარეგისტრირებულიყო კ. უ.-ის საკუთრების უფლება, ე. კ.-ის მიმართ გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნით ფიქტიური სარჩელი აღძრა მისმა დეიდაშვილმა, ქ. ხ.-მ. საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის ინტერესებს იცავდა ადვოკატი ზ. ბ.. ადვოკატმა ზ. ბ.-მ მარწმუნებლის, ე. კ.-ის ინტერესების საზიანოდ და მოსარჩელე ქ. ხ.-ის სასარგებლოდ პირადად შეადგინა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ 2010 წლის 10 აგვისტოს, რაც დაადასტურა სასამართლოს სხდომაზე.

1.3 ადვოკატ ზ. ბ.-ის ქმედებები გამოაშკარავდა სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის მოსამართლის, თ. ჩ.-ის 2013 წლის 07 თებერვლის განჩინებით ადვოკატ ზ. ბ.-ს, როგორც ე. კ.-ის წარმომადგენელს, ჩამოერთვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება.

1.4 ადვოკატ ზ. ბ.-ის ადვოკატისათვის შეუფერებლად მოქმედების გამო ყადაღა ედო ოზურგეთის რაიონის დაბა ურეკში მდებარე უძრავ ქონებას, რის გამოც იგი ვერ ახერხებს საკუთრების უფლების რეგისტრაციას მასზე.

1.5 საჩივრის ავტორის წარმომადგენლების მითითებით, ადვოკატ ზ. ბ.-ის მოქმედებით ზიანი მიადგა მათ მარწმუნებელს, კ. უ.-ს, რადგან ქ. ხ.-ის სარჩელს, რომელიც მან შეიტანა ე. კ.-ის წინააღმდეგ, ე. კ. სრულიად დაეთანხმა და სარჩელის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა მათი მარწმუნებლის ინტერესებისათვის ზიანის მიყენება, სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებულ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაში ხელშეშლა.

1.6 საჩივრის ავტორი მოითხოვს, ადვოკატ ზ. ბ.-ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, ვინაიდან მან არაკეთილსინდისიერად შეასრულა თავისი პროფესიული მოვალეობები. ადვოკატმა საჩივრის ავტორის ინტერესების საზიანოდ და მისი ქონებრივი უფლების შელახვის მიზნით, ფიქტიური უსაფუძვლო სარჩელი შეიტანა სასამართლოში, სადაც ვითომ და მოდავე ორივე მხარის (მოსარჩელისა და მოპასუხის) ინტერესებს ერთდროულად წარმოადგენდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ზ. ბ.-მ განმარტა, რომ დავა კ. უ.-სა და ე. კ.-ეს შორის მიმდინარეობდა 2009 წლიდან, ხოლო 2014 წლიდან განქორწინების შემდეგ დაიწყო მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყოფა. განქორწინებიდან ერთ კვირაში კ. უ. ჩამოვიდა საქართველოში და მთლიანი ქონება გადაიფორმა თავის სახელზე. ამას გარდა, მან სასამართლოში საქმე აღძრა ე. კ.-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დაბა ურეკში და მოითხოვა მისი, როგორც თანასაკუთრების გაყოფა. ამ პერიოდში დაიწყო დავა ურეკში მდებარე ნაკვეთზე და კ. უ. იცნო თანამესაკუთრედ. ამ დროს ადვოკატმა სარჩელი შეიტანა აღნიშნულ ნაკვეთზე ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული ნაკვეთი ე. კ.-ეს 2005 წელს შეძენილი ჰქონდა საკუთარი დეიდაშვილის ქ. ხ.-საგან ურთიერთვალდებულების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც მიწაზე მოხდებოდა სასტუმროს აშენება და წილში იქნებოდა ქ.ხ..

2.2 ადვოკატის გაცხადებით, მან სასამართლოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ აღნიშნულის საფუძველზე ქ. ხ. საქმეში ჩართულიყო მხარედ, ანუ მესამე პირად, თუმცა აღნიშნული შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა და ე. კ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის ქ. ხ.-ის ინტერესებს, როგორც მისი ადვოკატი არ წარმოადგენდა საქმისწარმოების რომელიმე ეტაპზე, თუმცა კ. უ.-სა და ე. კ.-ეს შორის დავის მიმდინარეობისას ქ. ხ. ზ. ბ.-სთან მივიდა და როგორც იურისტს სთხოვა კონსულტაციის გაწევა ნასყიდობის ხელშეკრულების თაობაზე. ადვოკატმა ქ. ხ.-ს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, აუხსნა, რომ უნდა დაეწყო დავა და მოეთხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რაზეც ადვოკატმა ქ. ხ.-ს, მისივე თხოვნით შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება სასამართლოში წარსადგენად.

2.4 ადვოკატი განცხადების შედგენამდე დაუკავშირდა თავის მარწმუნებელს ე. კ.-ეს და აცნობა იმის თაობაზე, თუ რა სთხოვა მას ქ. ხ.-მ. ე. კ.-მ ნება დართო ადვოკატს, რომ შეედგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადება ქ. ხ.-ისათვის, თუმცა ადვოკატი ამავდროულად რჩებოდა ე. კ.-ის წარმომადგენლად სასამართლოში და სხვა კავშირი მას ქ. ხ.-თან არ ექნებოდა. ადვოკატმა ქ. ხ.-ს მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და შეუდგინა განცხადება ნიმუშად, რაც სასამართლოში თავად ქ. ხ.-მ შეიტანა. განცხადება არ ყოფილა ხელმოწერილი ადვოკატის მიერ. ამასთან აღნიშნულ დავაში ზ. ბ. არ წარმოადგენდა ე. კ.-ის ინტერესებს. ადვოკატს გაწეული კონსულტაციით ე. კ.-ისთვის პრობლემა არ შეუქმნია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სასამართლომ არ გააუქმა აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთს დაედო ყადაღა, ხოლო მას ჩამოერთვა ე. კ.-ის წარმომადგენლობის უფლება.

2.6 2015 წლის 06 აგვისტოს განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დააზუსტა, რომ ის ე. კ.-ის წარმომადგენელი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, როდესაც დავა გაგრძელდა და საქმე არსებითად იქნა განხილული. მომჩივანის წარმომადგენელს სურს ქ. ხ. დაუკავშიროს კ. უ.-ს და ე. კ.-ეს. ქ. ხ.-ის სარჩელის უზრუნველყოფას ზ. ბ. გააკეთებდა თუ სხვა ადვოკატი, შედეგი იგივე შეიძლებოდა დამდგარიყო. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, მაგრამ მომჩივანს არასდროს მიუმართავს აღსრულებისთვის, რომ პრობლემა ექმნებოდა ყადაღასთან დაკავშირებით და ვერ არეგისტრირებდა თავის საკუთრების უფლებას, არც მოუთხოვია გადაწყვეტილების აღსრულება.

2.7 ადვოკატმა განმარტა, რომ ადვოკატი უფლებამოსილია კონსულტაცია გაუწიოს ადამიანს თუ ამით ზიანი არ ადგება მისი მარწმუნებლის ინტერესებს, კონსულტაციის გაწევა შესაძლებელია იმ პირისთვის, ვისთანაც მინდობილობა არ აქვს გაფორმებული, მაგრამ არა კლიენტის ინტერესების საზიანოდ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 22 დეკემბერს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ზ. ბ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ზ. ბ.-მ კლიენტის, ე. კ.-ის ინტერესები დაიცვა ინტერესთა კონფლიქტის პირობებში, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი და მე-6 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ადვოკატი ზ. ბ. იცავდა კ. უ.-ის ყოფილი მეუღლის ე. კ.-ის ინტერესებს მეუღლეებს შორის არსებულ ქონებრივ დავაზე თბილისის საქალაქო სასამართლოში 2009 წლიდან 2015 წლამდე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. რწმუნებულება/მინდობილობა NX, რეგ. თარიღი 25.08.2009 წ.
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე NX/XXXX-XX
3. ეთიკის კომისიის დისციპლინური საქმის №079/14 2015 წლის 06 აგვისტოს განხილვის სხდომის ოქმი

4.1.2 2013 წელს ადვოკატი ზ. ბ. წარმოადგენდა შეგებებული სარჩელით მოპასუხის ე. კ.-ის ინტერესებს საქმეზე NX-XX-XX, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე - ქ. ხ., კ. უ.. ადვოკატმა ზ. ბ.-მ ე. კ.-ის დეიდაშვილს ქ. ხ.-ს 2010 წლის 10 აგვისტოს გაუწია იურიდიული კონსულტაცია და შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება, მაშინ როცა ამავე საქმეზე მოგვიანებით წარმოადგენდა ე. კ.-ის ინტერესებსაც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ეთიკის კომისიის დისციპლინური საქმის №079/14 2015 წლის 06 აგვისტოს განხილვის სხდომის ოქმი
2. ადვოკატ ზ. ბ.-ის 2010 წლის 09 სექტემბრის განცხადება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ე. კ.-ის წარმომადგენლად საქმეში ჩართვის შესახებ

4.1.3 ქ. ხ.-ის განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო მოპასუხე ე. კ.-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას მდებარე ოზურგეთის რაიონი, დაბა ურეკი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2010 წლის 11 აგვისტოს განჩინება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილების შესახებ საქმეზე NXXXXX-10 წ
2. 2010 წლის 11 აგვისტოს სააღსრულებო ფურცელი NXXXXX-10 წ

4.1.4 2013 წლის 07 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმთა კოლეგიის მოსამართლის თ. ჩ.-ის განჩინებით ადვოკატ ზ. ბ.-ს, როგორც ე. კ.-ის წარმომადგენელს ჩამოერთვა საქმის X-XXXX-XX (მოსარჩელე - ქ. ხ., მოპასუხე - ე. კ., კ. უ., დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება) განხილვაში მონაწილეობის უფლება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

სასამართლოს 2013 წლის 07 თებერვლის მთავარი სხდომის ოქმი საქმეზე NX-XXXX-XX

4.2 საქმეში არ არსებობს სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ზ. ბ.-მ დაარღვია შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი მოვალეა კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

6.1.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით”.

6.1.3 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.“

6.1.4 „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.“

6.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: ,,ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

6.1.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

6.2 ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან დაკავშირებულ დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას თუ ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ.

6.3 ეთიკის კომისიამ საქმეში N015/10 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ორივე ინტერესის (კონფიდენციალობისა და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა) დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია და ადვოკატმა თავი უნდა აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთი ინტერესი".

6.4 ადვოკატი ზ. ბ. წარმოადგენდა საჩივრის ავტორის მეუღლის - ე. კ.-ის ინტერესებს კ. უ.-ის სარჩელის გამო, თანასაკუთრებაში არსებული ქონების გაყოფასთან დაკავშირებულ დავაში. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფლდა საჩივრის ავტორის სასარჩელო მოთხოვნა და კ. უ. ცნობილ იქნა მოპასუხის - ე. კ.-ის საკუთრებაში აღრიცხული ქონების ½ წილის მესაკუთრედ.

6.5 2010 წლის 11 აგვისტოს განჩინებით დაკმაყოფილდა ქ. ხ.-ის (საჩივრის ავტორის ცოლის - ე. კ.-ის დეიდაშვილი) განცხადება სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. ქ. ხ.-ის სარჩელი ეხებოდა მასსა და ე. კ.-ეს შორის ურთიერთვალდებულების შესახებ დადებული ხელშეკრულების გაუქმებას. აღნიშნული ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმებული იყო იმავე მიწის ნაკვეთზე, რომლის ½-წილის მესაკუთრეც 2010 წლის 29 იანვრის სასამართლოს გადაწყვეტილებით გახდა საჩივრის ავტორი.

6.6 საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებით და ადვოკატის განმარტებით ირკვევა, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ს მიმართა ქ. ხ.-მ, რომელსაც „მან მხოლოდ სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია და შეუდგინა განცხადება ნიმუშად, მისი წარმომადგენელი კი არასოდეს ყოფილა." ადვოკატმა ზ. ბ.-მ ქ. ხ.-ს გაუწია იურიდიული მომსახურება 2010 წლის 10 აგვისტოს და 2010 წლის 09 სექტემბერს იგივე დავაში ჩაერთო ქ. ხ.-ის მოწინააღმდეგის - ე. კ.-ის წარმომადგენლად.

6.7 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მიიჩნევა საადვოკატო საქმიანობად უთითებს: ,,ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); ... მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას." ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი უთითებს: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე...".

6.8 დისციპლინურ საქმეში 027/11 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 20 აგვისტოს აღნიშნა, რომ ,,ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან." ადვოკატ-კლიენტის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა გულისხმობს, რომ კლიენტს აქვს ადვოკატისაგან დამოუკიდებელი რჩევის მიღების მოლოდინი და როდესაც ადვოკატი პირს სამართლებრივ მომსახურებას სთავაზობს, სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის

მომენტიდანვე მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოშობილად ითვლება და ადვოკატს პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით მოქმედება ევალება.

6.9 კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზეა ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ქ. ხ.-ისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა, რაც გამოიხატა შემდეგში: 1. ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ქ. ხ.-ისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევაში, 2. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების შედგენაში და 3. სასამართლოში შეტანაში. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დადგენილ იქნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ და დადასტურებულ იქნა ადვოკატ ზ. ბ.-ის განმარტებით.

6.10 ადვოკატმა ზ. ბ.-მ მოსარჩელეს გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, შეუდგინა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება და სასამართლოში შეიტანა მოსარჩელის სახელით, ხოლო მოგვიანებით იმავე საქმეზე წარმოადგინა მოპასუხის ე. კ.-ის ინტერესები. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ბ.-ის მიერ ქ. ხ.-ის მიმართ განხორციელებული იურიდიული მომსახურება მიმართული იყო მისი რწმუნებულის ე. კ.-ის ინტერესების დასაცავად, რაც გამოიხატა იმაში, რომ სადავო მიწის ნაკვეთზე, რომლის ½ - წილის მესაკუთრედ სასამართლომ ცნო საჩივრის ავტორი, ახალი დავის წარმოშობით კ. უ.-ს ვერ მოეხდინა სადავო მიწის ნაკვეთის ½-წილის საკუთრების რეგისტრაცია. ამ მიმართულებით ადვოკატის ქმედებები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან და მხოლოდ ამის შემდეგ იქნებოდა ეს ქმედებები გამართლებული.

6.11 განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ ზ. ბ.-ის არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ის მოქმედებდა კლიენტთან - ე. კ.-ესთან შეთანხმებით და მისი თანხმობით გაუწია საადვოკატო მომსახურება ქ. ხ.-ს, რაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის არსებობას, ვინაიდან საქართველოში მოქმედი პროფესიული ეთიკის ნორმები არ იცნობს ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას წარმომადგენლობის გაგრძელების შესაძლებლობას, რაც კლიენტებს საშუალებას მისცემდათ თავად შეეფასებინათ წარმომადგენლობასთან დაკავშირებული რისკები. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდება არ არის დამოკიდებული კლიენტის ნებაზე, ამ შემთხვევაში ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და უკრძალავს ადვოკატს ერთი კლიენტის წარმომადგენლობას თუ მან მეორის სასარგებლოდ განახორციელა საადვოკატო საქმიანობა და ეს კლიენტები პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ. ქ. ხ.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ ადვოკატი ზ. ბ. არ იყო უფლებამოსილი დაეწყო ე. კ.-ის წარმომადგენლობა, თუნდაც ამის შესახებ ინფორმირებული ყოფილიყო ე. კ. და მისი თანხმობაც მიღებული ჰქონოდა. ადვოკატმა ამგვარი საქციელით არამარტო ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის პროვოცირება მოახდინა, არამედ საფრთხე შეუქმნა თავის დამოუკიდებლობას, კონფიდენციალობას და ნდობას კლიენტის მიმართ.

6.12 ადვოკატი ზ. ბ. მოქმედებდა მისი მარწმუნებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუმცა, როგორც თავად მიუთითებს, ამის შესახებ მისი კლიენტი ინფორმირებული იყო და ისინი მოქმედებდნენ შეთანხმებულად. აღნიშნული დადგენილ იქნა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. სასამართლომ განმარტა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი და დაადგინა, რომ ,,მოპასუხის წარმომადგენელი ზ. ბ. მოქმედებდა მისი მარწმუნებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი მოქმედებით ზიანს აყენებდა ე. კ.-ეს, რადგან სარჩელის აღძვრამდე სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების განცხადება შემოტანილი იქნა არა მოსარჩელის ქ. ხ.-ის, არამედ მის მიერ, მაშინ როდესაც თავად წარმოადგენდა მოპასუხის წარმომადგენელს.“ კოლეგია მიუთითებს ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 ივლისის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, კერძოდ, „კომისია რეკომენდაციას უწევს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით, კერძო დადგენილებებით, გადაწყვეტილებებით დადგენილ ფაქტობრივი გარემოებები აღიარებულ იქნეს პრეუდიციული ძალის მქონედ, თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელიც ცნობილი გახდა კომისიისათვის და რომელთა გათვალისწინებით, კომისიას შეუძლია არ ჩათვალოს რომელიმე ასეთი ფაქტი პრეუდიციული ძალის მქონედ.“ კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ არყოფილა გაცხადებული არანაირი გარემოება, რომელიც კოლეგიას მისცემდა საშუალებას სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები არ ჩაეთვალა პრეუდიციული ძალის მქონედ. ამდენად, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით და ამ მოტივით ადვოკატის საქმიდან ჩამოცილება კოლეგიამ პრეუდიციული ძალის მქონე გარემოებებად მიიჩნია და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ადვოკატ ზ. ბ.-ის მიმართ შეირჩა გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განმხილველმა კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, ამავე კანონის მე–5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით; მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლითა და მე-6 მუხლის პირველი ნაწილით; ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“დებულების მე–4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 37-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N079/14 ადვოკატ ზ. ბ.-ს /სიითი N/ დაეკისროს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ ზ. ბ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/